განმარტებითი ბარათი

„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში" ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მომზადება გამოწვეულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო სამსახურის ბიუროსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს სისტემაში ინსტიტუციონალური რეფორმების გატარებისა და საჯარო სამსახურის სისტემის გამართული ფუნქციონირებისათვის ეტაპობრივი ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანს წარმოადგენს საჯარო სამსახურის მარეგულირებელი კანონმდებლობის სრულყოფა, აგრეთვე მთელი რიგი სისტემური ცვლილებების გატარება იმ ორგანოებში, რომლებიც სხვადასხვა ფორმით მონაწილეობენ საჯარო სამსახურის პოლიტიკის განსაზღვრასა და განხორციელებაში. საჯარო სამსახურის ბიუროსთან (პროექტის შესაბამისად, საჯარო სამსახურისა და დეკლარაციების ბიუროსთან) მიერთების გზით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიურო ექცევა საქართველოს პრეზიდენტის უშუალო დაქვემდებარებაში (ბიუროს დებულებას, სტრუქტურასა და საშტატო ნუსხას ამტკიცებს, აგრეთვე ბიუროს საქმიანობასთან დაკავშირებულ მთელ რიგ უფლებამოსილებებს ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტი) რის შედეგადაც ამაღლდება ამ უკანასკნელის დამოუკიდებლობის ხარისხი, გაიზრდება მის საქმიანობაში ჩაურევლობის გარანტიები, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს ბიუროზე დაკისრებული უფლებამოსილებების ეფექტიანად განხორციელებას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის მიხედვით, ხორციელდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს რეორგანიზაცია საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – საჯარო სამსახურისა და დეკლარირების ბიუროსთან მიერთების გზით. შესაბამისად, საჯარო სამსახურისა და დეკლარირების ბიურო იქნება თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს უფლებამონაცვლე.

კანონის მოქმედი რედაქციით საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატის მიერ კანდიდატად რეგისტრაციისას გამარტივებული წესით შესავსები დეკლარაციის ფორმას, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის ფორმას, აგრეთვე იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივ რეესტრს, რომელთათვისაც დეკლარაციების შევსება

სავალდებულოა, ადგენს საქართველოს იუსტიციის მინისტრი. შემოთავაზებული რედაქციით კი აღნიშნულ საკითხებს მოაწესრიგებს საქართველოს პრეზიდენტი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:
კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:
კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:
კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:
კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:
კანონპროექტის მიღება არ იწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირებისათვის, რომლებზეც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):
კანონპროექტი არ ითვალისწინებს ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:
კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია - საქართველოს პარლამენტის წევრი პაველ კუბლაშვილი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორია - საქართველოს პარლამენტის წევრი პაველ კუბლაშვილი.